

ბატონებო და ქალბატონებო,

მოგესალმებით და წარმოგიდგენთ 2020 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიშს.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური

ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში სტრუქტურით გათვალისწინებულია - 71 საშტატო ერთეული. 2020 წლის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულია საშტატო ერთეულით 69 თანამშრომელი, ვაკანსიაა -2, შტატგარეშე მოსამსახურედ აყვანილია - 14, ვაკანსია 1. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 61, აყვანილია 60, ვაკანსია -1.

ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში მერიის სტრუქტურით გათვალისწინებულია -20 საშტატო ერთეული, დასაქმებულია - 18, ვაკანსია-2, მათ შორის საქმის წარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში - 7, იურიდიულ და ადამიანური რესურსების განყოფილებაში-4. წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილებაში -2, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილებაში 3, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში-2 ვაკანსია -1.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წელში წარმოშობილ ვაკანსიებზე ჩატარებული იქნა სულ 2 ღია კონკურსი , 2 შიდა კონკურსი და 1 დახურული კონკურსი, ღია კონკურსის შედეგად დაინიშნა 3 პროფესიული საჯარო მოხელე , ხოლო შიდა კონკურსის შედეგად დაინიშნა 4.

გამოცემულია მერის 1303 სამართლებლივი აქტი.

მერიაში შემოვიდა;

განცხადებები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, წერილები სამხარეო ადმინისტრაციისაგან, სამინისტროებიდან და საჯარო რეესტრიდან, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სამსახურებიდან, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროდან, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან და სამსახურებიდან, ასევე შემოვიდა სხვადასხვა საკითხთა გათვალისწინებით მოქალაქეთა წინადადებები,საჩივრები.

აღნიშნული დოკუმენტების აბსოლუტურ უმრავლესობას გაეცა

პასუხები.მინიმალურ რაოდენობაზე მიმდინარეობს მუშაობა. (მოხსენებითი ბარათი

დაწვრილებითი ინფორმაციით, კონკრეტული მიმართულებების გათვალისწინებით, თან ერთვის).

ვანის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის მერის N20 1478 ბრძანებით და განისაზღვრა 3604879 ლარით.

2020 წლის მანძილზე შესყიდვების გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტის მერის N20 699 ბრძანებით შესყიდვების გეგმამ შეადგინა 8799057 ლარი.

2020 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იყო 52 ელექტრონული ტენდერი. აქედან არ შედგა 11, უარყოფითი შედეგით დასრულდა 2, შეწყდა 2, გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 37 შემთხვევაში, რის საფუძველზეც გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებით 4548543 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 88 ხელშეკრულება.

მათ შორის: მონეტარული ზღვრების დაცვით 52 ხელშეკრულება საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 59132 ლარი.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP მოდულის მეშვეობით მიღებული თანხმობის საფუძველზე გაფორმდა 22 ხელშეკრულება ღირებულებით 487390,42 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 14 ხელშეკრულება (სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მოსახურება-135219,20 ლარი; საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა - 6952,50 ლარი კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების შესყიდვა - 1144 ლარი საბურავების შესყიდვა -3984 ლარი;

სატელეფონო მომსახურება -23600 ლარი; ავტომანქანების ძრავის ზეთის შესყიდვა 225,50 ლარი; აკუმულატორი - 215 ლარი; საყოფაცხოვრებო ნარჩენების ყუთების შესყიდვა -54000 ლარი; კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის ნებართვის საფუძველზე საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა 12 ხელშეკრულება ღირებულებით -109330,90 ლარი;

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებზე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა 2 ხელშეკრულება ღირებულებით 9104 ლარი).

ინტესიურად მიმდინარეობს მერის წარმომადგენლებთან საქმიანი შეხვედრები, რაშიც, საჭიროების შემთხვევაში, აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ კერძო კომპანიების ხელმძღვანელები, მიიღება გადაწყვეტილებები მოსახლეობაში არსებული პრობლემების დაძლევის მიზნით.

დასრულდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ყველა დასახლებულ სოფელში (გარდა ქალაქისა) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების განხილვა, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ყველა დასახლებული სოფლისათვის გამოყოფილი თანხა 570000 ლარი გამოყენებული იქნება მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილი პრიორიტეტების რეალიზებისათვის.

მოსახლეობასთან ხელმძღვანელი პირების რეგულარულმა შეხვედრებმა, მათი პრობლემების გაცნობიერებამ, მოგვცა საშუალება დასმული საკითხების უმრავლესობა გადაგვეჭრა, რაც ძირითადად აისახა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ პროექტების განხორციელებაში.

განყოფილებაში შემოსული სხვადასხვა სახის განცხადებებიდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობა ფიქსირდება უძრავი ქონების რეგისტრაციის თაობაზე (2020 წლის 10 თვეში 4750-ზე მეტი).

აღსანიშნავია განყოფილების თანამშრომლობა საჯარო სამსახურის ბიუროსთან გაეროს განვითარების პროგრამის პროექტში „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“, რომლის მიზანია მოხელეთა შეფასების სისტემის გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ორგანოებში.

ახლად შექმნილი „ბავშვის უფლებათა დაცვის და მხარდაჭერის“ განყოფილების მიერ სოციალურად დაუცველ ორ ოჯახს გაეწია დახმარება საკვები პროდუქტებით.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N27 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 10311,9 ათასი ლარის ოდენობით. 2020 წლის განმავლობაში ბიუჯეტში იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 15624,8 ათასი ლარის, გადასახდელები 16948,9 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1324,1 ათასი ლარის მოცულობით.

2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 15524,8 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებულია 15473,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 99,7% -ს შეადგენს. გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა 5763,2 ათასი ლარს შეადგენდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 5984,5 ათასი ლარი

წლიური გეგმის 103,8% -ია. გრანტების გეგმა 9369,8 ათასი ლარს შეადგენდა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 9080,3 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 96,9%-ით შესრულდა. სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 391,8 ათასი ლარით. მობილიზებულ იქნა 408,8 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 104,3%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 16948,9 ათასი ლარით დაიგეგმა, საკასო ხარჯი 15851,3 ათას ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 93,4%.

მუნიციპალიტეტის საკრებულო (01 01 01) ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ასიგნებების მოცულობა 735,0 ათასი ლარით დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 711,0 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 96,7%-ია.

მუნიციპალიტეტის მერია (01 01 02) ვანის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ასიგნებების მოცულობა 1708,5 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 1622,9 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 95,0%-ია.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამალღების ხელშეწყობა (01 01 03) ქვეყნის ავღაცვისუნარიანობის ამალღების ხელშეწყობის პროგრამაზე 2020 წელს გეგმით 98,4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 93,4 ათასი ლარი მიიღარა, რაც წლიური გეგმის 94,9%-ია.

გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები (02 01) პროგრამაზე გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 6580,8 ათას ლარს შეადგენდა. საკასო შესრულების მაჩვენებელი 5774,3 ათასი ლარია, წლიური გეგმის 87,7%-ია. რეაბილიტირდა სალხინო-დიხაშხოს, დიხაშხო-ბზვანის, შუამთა-ტობანიერის, ზეინდარის, ციხესულორის, ზედავანი-ტყელვანის, ქ. ვანში ნიკოლაძის ქუჩის, გორაში ცერცვაძეების უბნის, მთისძირის, მუქედის და ტობანიერ-ზედაეწერტობანიერის საავტომობილო გზები.

სანიაღვრე-და ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (02 02) საკასო ხარჯი 90,1 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 104,2 ათასი ლარის 86,5%-ს შეადგენს.

გარე განათების უზრუნველყოფა (02 04) ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სანათების ელექტრო-ენერჯის ხარჯების დაფინანსება. საკასო შესრულება 125,4 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 127,0 ათასი ლარის 98,7%-ია.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (02 05) საკასო შესრულებამ 95,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 149,0 ათასი ლარის 63,8% -ია.

სოფლის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (02 06) გაწეული ხარჯი 618,7 ათას ლარია, წლიური გეგმის 649,8 ათასი ლარის- 95,2%.

დასუფთავება და ნარჩენების გატანა – ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანების დაფინანსება (03 01) კომუნალური გაერთიანების დაფინანსების გეგმიური მაჩვენებელი 480,0 ათას ლარს შეადგენდა. საკასო შესრულება 479,2 ათასი ლარია, წლიური გეგმის 99,8%-ია.

სკოლამდელი განათლება (04 01) 2020 წლის გეგმით გამოყოფილი ასიგნებები 1500,0 ათას ლარს, ხოლო საკასო შესრულება 1425,9 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 95,1%-ია.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია (04 02) პროგრამის განსახორციელებლად გეგმით 181,3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 145,5 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 80,3%-ია. პროგრამის ფარგლებში სველი წერტილები მოეწყო ამაღლების, ზედა გორას, ზეინდარის, ინაშაურის, მუქედის, სალხინოს, საპრასიის, დიხაშხოს, ტობანიერის და შუა გორას საბავშვო ბაღებში.

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (04 03) პროგრამის განსახორციელებლად გეგმით 1270,6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 1209,6 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 95,2%-ია. პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სარემონტო სამუშაოები დასრულდა ისრითის, ინაშაურის, ფერეთას, ქვედა გორას, უხუთის, ციხესულორის, ძულუხის, საპრასიის, მთისძირის, ზედა გორას, მუქედის, სალხინოს, დუცხუნის, ყუმურის, გადიდის, ონჯოხეთის შუამთის და ბზვანის საჯარო სკოლებში.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (05 01 01) ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ფეხბურთში, მძლეოსნობასა და ჭიდაობაში მუნიციპალიტეტის პირველობები და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. პროგრამაზე გეგმით 10,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 4,2 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 42,0%-ია.

ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება (05 01 02) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 210,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 186,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 89,0%-ია.

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი სულორი-ვანი (05 01 03) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 210,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 198,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 94,5%ია.

ა(ა)იპ სარაგბო კლუბი ვანის აიეტი (05 01 04) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 160,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 158,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის - 99,1%.

სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია (05 01 05) პროგრამაზე გეგმით 734,2 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, საკასო ხარჯმა 707,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 96,4%,-ია. პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩატარდა ქ.ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მინი სპორტულ მოედნებს და N78 ში მდებარე სპორტულ კომპლექსს.

ა(ა)იპ კულტურის ღონისძიებების ორგანიზება (05 02 01) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა კულტურის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი კულტურის სახლების, ბიბლიოთეკის, მუზეუმების, ცეკვისა და ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლების დაფინანსება. გეგმიური დაფინანსების მოცულობა 405,0 ათას ლარს, ხოლო ფაქტობრივი შესრულება 403,3 ათას ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის 99,6%-ია.

ა(ა)იპ სახელოვნებო განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი (05 02 02) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 339,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 99,7-%, 337,9 ათასი ლარი შეადგინა.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (05 02 04) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით როგორც გეგმით, ასევე ფაქტიურად 95,0 ათასი ლარი მიიმართა.

ახალგაზრდული და კულტურის ღონისძიებების დაფინანსება (05 03) პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. 2020 წლის ასიგნება 30,0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად პროგრამაზე 22,8 ათასი ლარი მიიმართა, წლიური გეგმის -76,0%.

ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრი (05 04) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ორგანიზაციის დაფინანსებისათვის 65,0 ათასი ლარი გამოიყო, საკასო შესრულებამ 51,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 78,5-%-ია.

06 00 სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე ჯამურად, წლიური ასიგნებით 820,1 ათასი ლარი მიიმართა, საკასო შესრულებაა 778,7 ათასი ლარი, გეგმის 94,9%.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ვანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი, პროცედურები დაიწყო 2020 წლის 7 სექტემბერს, პირველადი ანგარიში წარმოდგენილია მიმდინარე წლის 25 დეკემბერს.

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვა

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მიერ

1. ელექტრონული აუქციონის ფორმით განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 25 ობიექტის პრივატიზება:

2. ასევე ელექტრონული აუქციონის ფორმით განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 ობიექტის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა:

3. სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული იქნა ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 ობიექტი:

4. მიმდინარე წელს მონაწილეობა მივიღეთ „2020-2022“ წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ განსახორციელებლად გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში. აღნიშნულ კონკურსში გაიმარჯვა ჩვენს მიერ წარდგენილმა ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულში, კერძოდ ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზისა და საფეხმავლო ხიდის მშენებლობის პროექტმა, რომელის ღირებულება შეადგენდა 263000 ლარს. პროექტი წარმატებით განხორციელდა.

ინფრასტრუქტურა და აქტიურობა

ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის მოვლა-განახლებისათვის დაფინანსებულია 200 პროექტი, საერთო ღირებულებით 8 289 281 ლარი. /აქედან 91 999 ლარის ღირებულების 1 პროექტი გადმოსულია 2019 წლიდან/. დასრულებულია 197 პროექტი, მიმდინარეობს 3 პროექტი. პროექტები დაფინანსების და კატეგორიების მიხედვით დაჯგუფებულია 5 პროგრამად. კერძოდ:

1. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დაფინანსდა 36 პროექტი (მ.შ. 11 საბავშვო ბაღი), სამუშაოთა განხორციელებისათვის გამოყოფილია 6 438 269 ლარი. დასრულებულია 35 პროექტი.
2. საგანმანათლებლო სისტემის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 18 სკოლის 22 პროექტი. ძირითადად განხორციელდა სველი წერტილების მოწესრიგება, გათბობის სისტემების მოწყობა და შენობის გადახურვის სამუშაოები. საერთო ღირებულებით 846 088 ლარი. დასრულებულია 17 სკოლის 21 პროექტი.
3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოსახლეობაზე მინიჭებული უფლების მიხედვით მუნიციპალიტეტის სოფლის მცხოვრებთა მიერ შერჩეული პროექტების რიცხვი დაჯგუფდა და გაერთიანდა 132 პროექტში, დასრულებულია 131 პროექტი. პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყო 639 383 ლარი. მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან 570 000 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 69 383 ლარი.
4. ადგილობრივი სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსდა 10 პროექტი, საერთო ღირებულებით 273 542 ლარი. აქედან დასრულებულია 9 პროექტი.
5. 2019 წლიდან გადმოსულია სტიქიის პრევენციის პროგრამით 1 პროექტი, (სოფ. ტობანიერში მეწყერული ზონის რეგულირება), ღირებულებით 91 999 ლარი. პროექტი დასრულებულია.
6. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელებისთვის 55 ფიზიკურ და იურიდიულ პირზე გაცემულია მშენებლობის განხორციელების სანებართვო მოწმობა და შეთანხმება.
7. შემოსული განცხადებების საფუძველზე შესწავლილი იქნა 93 ერთეული სხვადასხვა გარემოებებით დაზიანებული საცხოვრებელი სახლი.

ზედამხვედველობა

ვანის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის სხვადასხვა პროგრამებითა და ბიუჯეტებით დაიგემა 8 624 211 ლარის სამუშაოები. მათ შორის:

-რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პროგრამით 6438 269 ლარი.

-ადგილობრივი ბიუჯეტით 600 136 ლარი.

-სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 57000 ლარი.

-საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროგრამით 815791 ლარი.

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პროგრამით მუნიციპალიტეტში დაიგემა 21 პროექტი, დღეის მდგომარეობით დასრულებულია ყველა პროექტი.

ა) ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და აღჭურვა.

ბ) ზედა ვანი-ტყელვანი-ზედავანის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მესამე ეტაპი.

გ) ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე სპორტდარბაზის რეაბილიტაცია.

დ) ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან სულ დაგეგმილია 23 პროექტის განხორციელება და მომსახურების მიღება. მათ შორის:

ა) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 89 557 ლარი.

ბ) ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობაზე საინჟინრო მონიტორინგის მომსახურება

100 000 ლარი.

გ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით თანადაფინანსება 58 736 ლარი. თანადაფინანსება განხორციელდა 8 სხვადასხვა ობიექტზე.

დ) ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა 260 958 ლარი სულ დაიგემა 10 სხვადასხვა პროექტი, ამ ეტაპზე დასრულებულია 9 პროექტი. სამუშაოები მიმდინარეობს ერთ პროექტზე ქ. ვანში თავისუფლების ქუჩა N 63 და N 65 სკვერების რეაბილიტაცია.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში სულ დაიგემა 18 სკოლის რეაბილიტაცია, სადაც ხორციელდება 22 სხვადასხვა პროექტი, დღეის მდგომარეობით

დასრულებულია 18 სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები, აქედან 18 პროექტი სველი წერტილების, 2 პროექტი გათბობის და 2 პროექტი გადახურვის მოწყობის.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 91 სხვადასხვა პროექტის განხორციელება, მათ შორის 33 პროექტი მასალების შესყიდვა 58 სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

გვაქვს ასევე 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირების განვითარების პროგრამა

1. სოფელ ისრითში ლაბაჯოურის უბანში გზის რეაბილიტაცია თანხით 262 155 ლარი, დღეის მდგომარეობით პროექტი დასრულებულია.

საჯარო სკოლებში შესრულებული სამუშაოების მიღებული ეკონომიებით დამატებით ხორციელდება სამი სხვადასხვა პროექტი.

1. N 1 საჯარო სკოლის ღობის მოწყობა 33 491 ლარი, ტენდერის შემდეგ 31 042 ლარი.

2. ზეინდრის საჯარო სკოლის ღობის მოწყობა 23 347 ლარი.

3. შუამთის საჯარო სკოლის ღობის მოწყობა 7 611 ლარი.

ხელშეკრულების ვადების დარღვევისათვის საჯარიმო სანქციები განხორციელდა 25 ობიექტზე 83 628 ლარი.

პანდემიის პირობებში (რამდენიმე ორგანიზაციას შეზღუდული ჰქონდა მუშაობა) მიუხედავად ამისა დასუფთავების მოსაკრებელის სახით ამოღებულია 17 798 ლარი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახური

ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დამტკიცებულია 14 სოციალური პროგრამა, რომლის რეალიზებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო 703600 ლარი. დამტკიცებული პროგრამების მიხედვით განსაზღვრული თანხების განაწილების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ინიციატივით მომზადდა და გამოიცა ვანის მუნიციპალიტეტის მერის 35 ბრძანება.

სულ საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 1422 ბენეფიციარს თანხით 576423,07 ლარი.

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში სააღდგომოდ საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია 50 ბენეფიციარს.

(თითოეული პროგრამის მიხედვით კონკრეტული მონაცემები მოხსენებითი ბარათის სახით თან ერთვის).

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ვანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 19 სამედიცინო დაწესებულება: სტაციონარულ-პოლიკლინიკური გაერთიანება- „ჯეოჰოსპიტალსი-ვანი“; სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახური- 112; შ.პ.ს.-„ფარმაცია- ვანი“- დიაგნოსტიკური ამბულატორიულ-პოლიკლინიკური ცენტრი და 17 ამბულატორია, ანუ 17 „სოფლის ექიმი“ და მათთან ერთად 18 „სოფლის ექთანი“. აღნიშნულ დაწესებულებებში, ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა სახის სახელმწიფო პროგრამები.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2020 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენს 83 000 ათას ლარს, რაც 9000 ლარით მეტია 2019 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამებით განსაზღვრულ დაფინანსებაზე.

ცენტრში დასაქმებულია ცამეტი თანამშრომელი.

2020 წლის 10 თვეში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 62735 ლარს. აქედან: შრომის ანაზღაურებაა 54300, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება კი 8435 ლარი (მივლინება-525 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯი-450 ლარი, კომუნალური ხარჯი- 1973 ლარი, ტრანსპორტის ექსპლოატაციის ხარჯი 2837ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ასევე მონაწილეობს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში,რომლის ფარგლებში მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 8440 ლარი. აღნიშნული დაფინანსებიდან შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 7860 ლარით, ხოლო 580 ლარით კი ოფისის ხარჯი.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულია სხვადასხვა სახის ინფექციური დავადებების შემთხვევები. (12 სახის დაავადება).

რაც შეეხება ახალი ტიპის კორონავირუსს, მუნიციპალიტეტში სულ რეგისტრირებულია 67 დადასტურებული შემთხვევა. საანგარიშო პერიოდში ტესტირება ჩატარდა 2847 პიროვნებას.

მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში ანტირაბიულ კაბინეტს დახმარებისთვის მიმართა 209 დაზარალებულმა. გაიხარჯა 947 დოზა ანტირაბიული ვაქცინა.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის აცრები.

კულტურის სამსახური

კულტურის სამსახურის მიერ თებერვლის თვეში „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2020“-ის მონაწილე, მუნიციპალურ ტურში გამარჯვებული მოსწავლეებისათვის, შეძენილი იქნა 2090,0 ლარის ღირებულების 87 კომპლექტი სპორტული ფორმა (მაისური, შორტი). საქართველოს მთავრობისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე გაუქმებული იქნა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2020“-ის მუნიციპალური და რეგიონული ღონისძიებები. მხოლოდ რამდენიმე აქტივობა განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში. კერძოდ: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ეგიდით ადგილზე განხორციელდა შემდეგი აქტივობები: „ივარჯიშე სახლში“ და „გაავრცელე ქართული სპორტის ისტორია“, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ვანის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. 23 ივნისს, მსოფლიო ოლიმპიზმის დღეს, მოეწყო მძლეოსნური გარბენი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათმა სპორტსმენმა ორ მეტრიანი დისტანციის დაცვით, რაც შეესაბამებოდა სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. ჩატარდა მინი ფეხბურთის რამდენიმე ტურნირი. გუნდებისათვის შეძენილი იქნა პრიზები, ასევე გამოიყო ფულადი პრიზიც. სექტემბერში ჩატარდა საფეხბურთო ტურნირი „MASTER LEAGUE“-ს ჩემპიონატის ფინალი. მასში მონაწილეობდა ვანის მინიციპალიტეტის 7 გუნდი. პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდებისათვის გამოიყო ფულადი პრიზი 800 ლარი. ოქტომბერში ოლიმპიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა შეჯიბრებები მძლეოსნურ კროსსა და მაგიდის ჩოგბურთში გამარჯვებული მონაწილეებისათვის შეძენილი იქნა 466,00 ლარის ღირებულების პრიზები. პანდემიის პირობების გათვალისწინებით საპრასიის საჯარო სკოლამ განახორციელა ფიზიკური და

სპორტული აქტივობების ხელშეწყობი ონლაინ კამპანია “BEActive”-შემოგვიერთდი და გააზიარე პოზიტიური მუხტი.

დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ვანელი ჯარისკაცების დედებისათვის დღესასწაულის მილოცვა და საჩუქრების გადაცემა.

ასევე ჩატარდა რამდენიმე კულტურული ღონისძიება:

ღია ცის ქვეშ გაიმართა მუსიკალური ჯგუფის „არგოს“ კონცერტი (დაფინანსდა 1600 ლარით);

ქალაქ ქუთაისში გამართულ იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე ვანის სახალხო თეატრის მიერ წარდგენილი იქნა სპექტაკლი „ემიგრანტები“. ორგანიზების ღირებულებამ შეადგინა 3000,0 ლარი.

ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი სოფელ სალხინოში მცხოვრებ ზაზა დვალისძის დასახმარებლად, რომელსაც ჯანმრთელობის მძიმე პრობლემა აქვს.

დაჯილდოებული იქნა 2020 წელს კურსდამთავრებული ოქროსმედალოსნები, მათ გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, რისთვისაც გაიხარჯა 1000 ლარი.

ჩატარდა მუსიკალური ჯგუფის „ჩვენი კვარტეტის“ კონცერტი, რაზეც დაიხარჯა 1500 ლარი.

რაც შეეხება ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრს, მის მიერ განხორციელდა 9 აპრილის, 9 მაისის, 8 აგვისტოს, ტიციან ტაბიძის დაბადების დღისადმი დაგეგმილი კულტურული აქტივობები. (დაიხარჯა 320 ლარი).

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრში შემავალი 12 სტრუქტურული ერთეულისა და ასევე ადმინისტრაციის ფუნქციონირებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის 2020 წელს დახარჯულია 5944 ლარი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში არსებული შემოქმედებითი წრეების ფუნქციონირებისთვის შეძენილი იქნა შესაბამისი მასალები, ასევე დაფინანსდა ლიტერატურული და ცეკვის წრეები. (დაფინანსებამ შეადგინა 1223 ლარი).

ბიბლიოთეკისთვის შეძენილი იქნა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები (1100 ლარი) ვაუჩერის სახით კი გადაეცათ 700 ლარის ღირებულების წიგნები.

სამუსიკო სკოლებში გაწეულია სხვადასხვა სახის ხარჯი. დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები (1000 , ფესტივალი „იმერეთის ხმა“ (1000 ლარი), გამოიყო თანხა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის (220 ლარი), როგორც სამუსიკო

სკოლებისათვის, ასევე მუზეუმებისათვის შექმნილი იქნა სადეზინფექციო საშუალებები (701 ლარი).

ტურიზმი

ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრის 2020 წლის სამუშაო გეგმა განსხვავებული სტრატეგიით იყო განსაზღვრული, რომელიც პანდემიით გამოწვეულმა რეგულაციებმა სრულიად შეცვალა. ვანის ტურიზმის ცენტრი გადაერთო მუშაობის ახალ რეჟიმზე და შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელა რამდენიმე საინტერესო პროექტი. ძირითადი აქცენტები აღებული იქნა მარკეტინგის, ცნობადობის ამაღლების, ტურისტული პროდუქტებისა და მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის, ასევე ტურიზმთან დაკავშირებული საკითხების ადგილობრივად უზრუნველყოფის თაობაზე. პანდემიამ ტურიზმის ინდუსტრიას დიდი ზიანი მიაყენა. როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მთელს მსოფლიოში გაუქმდა ყველა დაგეგმილი საერთაშორისო და შიდა მასშტაბური ტურისტული გამოფენა-ბაზრობები, ფესტივალები, ადგილობრივი და რეგიონალური კულტურული ღონისძიებები და ა. შ. ვანის ტურიზმის ცენტრი გადავიდა მუშაობის ახალ დისტანციურ რეჟიმზე. ცენტრის სოციალური გვერდიდან გამომწერებს მიეწოდებოდა საინფორმაციო ხასიათის მასალა. აქტიურად იყო ჩართული კამპანიაში მთავარი სლოგანებით: „დარჩი სახლში“, „გადაარჩინე სიცოცხლე“, „დარჩი სახლში დღეს, რადგან იმოგზაურო ხვალ“.

ამ პერიოდში მნიშვნელოვანია „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასთან“ ვანის ტურიზმის ცენტრის თანამშრომლობა.

მას შემდეგ, რაც მოიხსნა მკაცრი შეზღუდვები და მთავრობამ დაანონსა შიდა ტურიზმის ხელშეწყობა ვანის ტურიზმის ცენტრმა თავისი წვლილი შეიტანა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევაში - „იმოგზაურე საქართველოსთვის“, რაც ხელშემწყობი ფაქტორი გახლდათ შიდა და მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის.

ვანის ტურისტული ლოკაციებიდან საინტერესო სიახლეების გავრცელების მიზნით აღსანიშნავია თანამშრომლობა სხვადასხვა ტელევიზიებთან. კერძოდ: რუსთავი 2, იმედი ტვ, პოსტ ტვ, საზოგადოებრივი მაუწყებელი-პირველი არხი და სხვადასხვა ინტერნეტ ტელევიზიები. სიუჟეტები მომზადდა შემდეგი სოფლებიდან: შუაგორა, ფერეთა, ბაბოთის მთიანი ზონა, უხუთი, ყუმური, კურორტი სულორი, დიხაშხოს გოგირდის გეიზერი, ვანის განახლებული არქეოლოგიური მუზეუმი და

სხვა. წლის ბოლომდე დაგეგმილია რამდენიმე სიუჟეტის გაკეთება „ზამთრის ტურიზმის ჭრილში“

ვანის ტურიზმის ცენტრს აქტიური და უწყვეტი თანამშრომლობა აქვს ისეთ რეზონანსულ გამოცემებთან და მაღალი ცნობადობის სოციალურ ქსელებთან. გამოხმაურება მოჰყვა პროექტს „მუსიკოსები ტურიზმისთვის“, რომელიც შედგა ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის განახლებულ არქეოლოგიურ მუზეუმში. ცენტრმა უმასპინძლა ცნობილ გიდებს.

მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად განხორციელდა პროექტი - „მწერვალი ვანი“. იმერეთის მთასვლელთა და მეკლდეურთა ფედერაციის ალპინისტურმა ექსპედიციამ ცენტრალურ კავკასიონზე დალაშქრა აქამდე დაულაშქრავი უსახელო მწვერვალი და მინიჭებული იქნა სახელწოდება „მწვერვალი ვანი“.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმის გახსნის დღეს, მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, ცენტრის მიერ მოწყობილი იქნა დროებითი ფოტო გამოფენა თემაზე: „ვანის ცნობილი და პოპულარული ტურისტული ღირსშესანიშნაობების ფოტოკოლაჟი“, რომელიც მიზნად ისახავდა შიდა ტურიზმის განვითარებისადმი ხელშეწყობას.

დასრულდა მუშაობა ცენტრის ლოგოსა და ვანის ბრენდბუქზე. დაძაბდა ცენტრის ლოგოტიპები და ვიზუალური ბრენდინგი, როგორც ცალკე ლოგოს სახით, ასევე სოციალური მედიისთვის. ამ მხრივ დამატებით იქნა შემუშავებული მარკეტინგული სტრატეგია და ვიზუალური აიდენტიკი (საფირმო სტილი). ვანის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს მთავარ სავიზიტო ბარათს მთელს მსოფლიოში, ბუნებრივია ცენტრის მთავარი სლოგანი იქნება „ვანი ანტიკური ქალაქი“. რათქმაუნდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება მუნიციპალიტეტში არსებულ უნიკალურ ტურისტულ შესაძლებლობებს.

წლის ბოლომდე განსახორციელებელი ღონისძიებების რეალიზება დამოკიდებულია ეპიდსიტუაციის არსებულ მდგომარეობაზე.

საბავშვო ბაღები

ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების 2020 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 1.500.000 ლარით. 10 თვის ფაქტიური ხარჯი კი შეადგენს 1.113.807 ლარს.

საბავშვო ბაღების გაერთიანებამ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დაიწყო 2020 წლის 25 იანვარს. ქვეყანაში გავრცელებული პანდემიის გამო გამოცხადებული შეზღუდვების შესაბამისად სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი შეჩერდა ამავე წლის 1 მარტიდან. მიუხედავად ამისა, მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საბავშვო ბაღების 650 აღსაზრდელს 3 მარტიდან 30 ივნისის ჩათვლით მათთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტი დაურიგდათ საცხოვრებელ მისამართებზე.

რაც შეეხება სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელებს, მათთვის სასწავლო პროცესი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში. ივნისის ბოლოს კი გადაეცათ სერთიფიკატები და საჩუქრები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საბავშვო ბაღების გაერთიანებას საჩუქრად გადაეცა 4,8 ტონა ბურღულეული, რაც არსაზრდელებს დაურიგდათ.

შეზღუდვების მოხსნის შემდეგ საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა 12 ოქტომბერს. პანდემიის გართულების გამო საბავშვო ბაღების ფუნქციონირება კვლავ შეჩერდა 12 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე.

სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება

სრული რეაბილიტაცია ჩატარდა სპორტსკოლის მთლიან კომპლექსს. შენობა ნაგებობებსა და ღია სპორტულ მოედნებს, კეთილმოეწყო ეზო. რისთვისაც დაიხარჯა 464119 ლარი

საფეხბურთო კლუბი „სულორი-ვანი“

საფეხბურთო კლუბი „სულორი-ვანი“ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან დაფინანსდა 150000 ათასი ლარით. ათი თვის განმავლობაში სულ დახარჯულია 89721 ლარი და 86 თეთრი.

საფეხბურთო კლუბს მონაწილეობა უნდა მიეღო რეგიონალური ლიგის და ლიგა 4-ის ტურნირებში. რეგიონალურ ლიგაში ჩატარდა მხოლოდ 2 მატჩი, დანარჩენი კი გადაიდო გართულებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო. შესაბამისად შემცირდა ხარჯი 15000 ლარით. (მგზავრობა კვება, შეკრება).

რაც შეეხება ლიგა 4-ის კალენდარულ თამაშებს, პანდემიის გამო არ შეჩერებულა.

ვანის მუნიციპალიტეტის მიერ გუნდი დაფინანსდა 210000 ლარით. ათი თვის განმავლობაში ხარჯმა შეადგინა 164872 ლარი.

საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანის“ ბავშვთა სამი ასაკობრივი ჯგუფი მონაწილეობას იღებდა იმერეთის ღია ჩემპიონატის სამ ტურნირში, რის შემდეგაც პანდემიის გამო, გაურკვეველი ვადით გადაიდო დანარჩენი თამაშები. შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის დაფინანსებიდან შემცირდა ხარჯი 12000 ათასი ლარით.

(ხარჯი გათვალისწინებული იყო სპორტსმენტა კვების, მგზავრობისა და მომსახურებისათვის).

ვანის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე შ.პ.ს. „ზანაძე“-ს მიერ ჩატარდა კეთილმოწყობითი სამუშაოები.

სარაგბო კლუბი „აიეტი“

სარაგბო კლუბის „აიეტის“ 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 160 000 ათ. ლარს. ნოემბრის ცათვლით დახარჯულია 146,237 ათ. ლარი.

2020 წლის იანვრიდან გაგრძელდა რეგიონალური ლიგის მეორე წრის ჩემპიონატი, რომელიც მარტში დასრულდა. ჩემპიონატში მონაწილე შვიდი გუნდიდან „აიეტმა“ მეოთხე ადგილი დაიკავა.

ივნისის თვეში დაიწყო მზადება 2020-2021 წლის მეორე ლიგის ჩემპიონატისათვის, რომელიც მიმდინარეობდა 5 სექტემბრიდან 25 ნოემბრამდე. მასში მონაწილეობდა რვა გუნდი. ვანის „აიეტმა“ მესამე ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება საფესტივალო ბავშვთა ჯგუფებს და “ბ“ ლიგის მორაგბეთა გუნდს , პანდემიის მიერ შექმნილი პრობლემების გამო, ვერ მიიღეს მონაწილეობა დაგეგმილ თამაშებში.

მიმდინარე წელში მოეწყო სარაგბო სტადიონის ინფრასტრუქტურა, შეძენილი იქნა ტემპერატურის დისტანციური საზომი და პირველადი დახმარების სამედიცინო პრეპარატები.

სამხედრო

2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში აღრიცხვაზე იდგა 979 წვევამდელი, გაწვევას დაექვემდებარა 240. გეგმა-გრაფიკით გასაწვევი იყო 31 წვევამდელი.

შ.ს.ს-6 წვევამდელი, გაწვეული იქნა 2; თავდაცვაში -16, გაწვეული იქნა -5; იუსტიციის სამინისტროში -9, გაწვეული იქნა -1.

სამხედრო სამსახურში იანვრიდან აპრილის ჩათვლით მიმდინარეობს 17 წლის მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა, რომელსაც დაექვემდებარა 116 მოქალაქე, აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 94 მოქალაქე.

რაც შეეხება მიმდინარე წლის საშემოდგომო გაწვევას, აღრიცხვაზეა 1024 წვევამდელი, აქედან გაწვევას დაექვემდებარა 204. გაწვევის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულია 25 წვევამდელი. შ.ს.ს-7 წვევამდელი, შ.ს.ს გ.დ.დ-2, თავდაცვის სამინისტრო-10, სასჯელაღსრულების სამინისტრო-6. ამ დროისათვის მიმდინარეობს გაწვევა. შ.ს.ს-ში ჩარიცხულია- 2, შ.ს.ს გ.დ.დ-2, თავდაცვის სამინისტროში-4, იუსტიციის სამინისტროში-0.

რეზერვში აღრიცხვაზე დგას 4482 რეზერვისტი. სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 117 რეზერვისტი.

კომუნალური გაერთიანება

ა(ა) იპ ვანის კომუნალური გაერთიანების ბიუჯეტი შეადგენდა 397427 ლარს . საანგარიშო პერიოდში გახარჯული იქნა 397427 ლარი, ამ თანხიდან შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 305352 ლარი. ტრანსპორტის ხარჯმა შეადგინა 58814 ლარი , მათ შრის საწვავზე დაიხარჯა 50213 ლარი . სათადარიგ ნაწილებზე დაიხარჯა 8601 ლარი. ელექტრ საქონლის (გარე განათებისთვის) 20175 ლარი. კავშირ გამბულობის (ინტერნეტი, ტელეფონები) 1992 ლარი.

მკვეთრად იმატა სამუშაოების მოცულობამ, რომლის შესრულებაც არსებითი შრმითი რესურსების პირობებში ძალზე გაჭირდა., საჭიროა მომავალში გამოინახოს საშუალება მუშების და მეეზოვეების დასამატებლად.

აუცილებელია ტექნიკურ საშუალებათა რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარის შეძენა.

(გაერთიანების სარგებლობაშია სამი ნაგავმზიდი, რომელთაგან ერთი ძალზე ძველია და ხშირად გამოდის მწრობრიდან. ასევე გვაქვს თვითმცლელი, ამწე კალათა და ასენიზაციის მანქანა).

მნიშვნელოვან ყურადღებას ექცევა გარე განათების და სანიაღვრო არხების მოვლა პატრონობას.

ეპიდვითარებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ რეჟიმში უწევს სამსახურს საქმიანობის განხორციელება რეგულაციების დაცვის შედეგად მუშათა დაავადების არცერთი შემთხვევა არ გვქონია.

აუდიტი

შიდა აუდიტის სამსახურის 2020 წლის წლიური სამოქმედო გეგმით იყო აუდიტორიული შემოწმების განხორციელება. კერძოდ:

-ვანის მუნიციპალიტეტის მერია-ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექპლოატაცია;

-ა(ა)-იპ საბავშვო ბაღების გარეთიანება;

-ა(ა)-იპ კომუნალური გაერთიანება;

-ა(ა)-იპ ვანის სახელოვნებო განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი.

შიდა აუდიტის სამსახურმა თებერვლის თვეში დაიწყო გეგმით გათვალისწინებული საკითხის შესწავლა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ ხელი შეუშალა და ვერ განხორციელდა დასახული გეგმა.

სამსახურმა განახორციელა ერთი ინსპექტირება, ერთი მონიტორინგი, მის მიერ შესწავლილი იქნა მოქალაქის განცხადება, მერის დავალების შესაბამისად,

კონკრეტული საკითხის ირგვლივ მოკვლეული იქნა ფაქტები და მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

შიდა აუდიტორული საქმიანობის სრულყოფისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინგ კურსები.